ცნობის ფურცელი

№ 2318 კვირა, 9 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2318

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარმ. 17. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 9 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

უბედური

დრამა 3 მოქმ. თხზ. კანო-მი-მაზასისა, თარგმ. ვ. გუნიას მიერ.

II

საუბედურო დებიუტი

ვოდ. 1 მოქმ. რუს. ახოსპირელის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 9 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება დილით

რუსალკა

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა დარგომიჟსკისა.

საღამოთი

„სევილიელი დალაქი“, მესამ. მოქმ. **„ერნანიდან“ და ცეკვა ბალეტიდან.**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გალცინა, რენე-რადინა, კარტავინა, კალინინა, ლელინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი: რაისკი, ჯირალდონი, სელივიანი, სანგურსკი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი პოზენი.

ანონსი. 10 ნოემბ. წარმ. არ იქნება; 11 ნოემბ. ფიგნერისა და ჯირალდონის მონაწ. - „რიგოლეტო“ და ბალეტი. (6).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. - კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ვრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, ს ახლოქ ანტიპარმაკლიძისა. (20—6.—14)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

გამგეობა ტფილისის სამარხ

კასსისა

აუწყებს თავის წევრთ გარდაცვალებასა ამავე კასსის წევრის ნატალია სვიმონის ასულის ედილაშვილისას და სთხოვს შემოიტანონ ხვედრი გარდასახადი **თითო მანეთი და ხუთი შაური** გამგეობის წევრ იოსებ მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“).

ვისაც ჰსურს ჩაეწეროს წევრად, აქვე მიჰმართოს. (4—2)

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—10)

საზღვარ-გარედ

ჩინეთის მომავალი

უზარმაზარ ჩინეთის საცოდავი ყოფა ბევრს აფიქრებს. რა მომავალი მოელის ჩინეთის შრომის მოყვარე, ნიჭიერ ხალხს? საუკუნოდ ევროპიელების საწველ ფურად გახდება, თუ თავის საკადრის ადგილ დაიჭერს ქვეყნიერობაზე? ეხლანდელ საცოდავსა და უბედურ ყოფას თავს დააღწევს და იაპონიასავით განვითარების გზას დაადგება, თუ საუკუნოდ დაემორჩილება გარედან შემოსეულ მტრებსა? ამის თაობაზე ჩინეთის ცნობილმა მცოდნემ ბ-ნმა კირსანოვმა საინტერესო წერილი დაბეჭდა რუსულ ჟურნალ „მირ ბოჟი“-ში. ბ-ნი კირსანოვი სწერს:

„ჩინეთის ეხლანდელი ყოფა დიდ-ხანს ვერ გასტანს. ქვრივი-დედოფალი—68 წლისაა, აშკარად ეტყობა, რომ ძალა და ღონე აკლდება. დედოფლის კარის კაცებში, იუანშიკაის გარდა, ერთი არავინ ურევია, რომ ჩინეთის მართვა შეეძლოს. ტახტის მემკვიდრე ჯერ არ აურჩევიათ; იმპერატორმა, ავადმყოფობის გამო, არა მგონია, რომ მარტოკამ შეიძლოს სახელმწიფო საქმეების გაძღოლა. ჩინეთის სახელმწიფო წეს-წყობილება, წინანდელ ამბებითა და ბოქსიორთა მოძრაობით შერყეული, ისევ იმ დაძველებულ, დამყაყებულ და დამპალ საძირკველსა და ბურჯებზე დგას, როგორზედაც უწინ იდგა. იმის მაგიერ, რომ ყველაფერი დამპალი წესი მოეშალათ და სანაცვლოდ ახალი შემოეღოთ, ძველი წესები მხოლოდ ხელდახელ გააახლეს და ზემოდან ახალის წამლით შეღებეს. ჩინეთის მოხელეები ეხლა უფრო უარესადაც იქცევიან, ვიდრე წინად. ამათ უსინიდისობას ეხლა უფრო ფართო ბაზარი აქვს: ეხლა ევროპიელებთანაც იჭერენ საქმეებს. მეტად ძნელი გამოსაცნობია, რა მომავალი მოელის ჩინეთს.

ევროპიელები, მომეტებულ ნაწილად, დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინელ ხალხის მოძრაობა უმთავრესად სოფლის სიღარიბითა და სიღატაკითაა გამოწვეული, ხალხი მეთაურებს ლუკმა პურის გულისათვის მისდევს და არა აზრისა და რწმენის გულისათვის: ყაჩაღობასა და აჯანყებას ერთნაირად უყურებს, იმისთვის სულ ერთია, სადაც მოჰხვდება, იქ იღებს მონაწილეობას. მოძრაობის მეთაურთ კიდევ სახელის მოყვარეობა—ჩინელები მეტად სახელის მოყვარე ხალხია — ან კერძო შურის-ძიება ამოქმედებთ და არა მამულის სიყვარული. გულწრფელად, სამშობლო ქვეყნის სიყვარულით ძნელად თუ ვინმე მოქმედებს. მე ვფიქრობ, რომ ეს ასე არაა.

ჩინეთის სახელმწიფო წეს-წყობილება უმთავრესად ევროპიელების შემოსევამა და ცუდმა მმართველობამ შეარყიეს. ტაიპინგების მოძრაობა ცხადად გვიმტკიცებს, რომ ჩინეთის ხალხს აზრისა და რწმენის გულისათვის ბრძოლაც შეუძლიან. ოღონდ თავის ხალხის მოყვარული, სულით ძლიერი კაციკი გამოჩნდეს, რომ ჩინელი ხალხი ააფრთოვანოს და საბრძოლველად გაიტაცოს. ორმოცი წელიწადი მეტი გავიდა, რაც ტაიპინგების აჯანყება ჩააქრეს, მაგრამ მრავალი საიდუმლო საზოგადოება მაინც განუწყვეტლივ მოქმედებს და მიმდევრებს შოვობს. ამ ორმოცის წლის განმავლობაში ჩინეთს ახალი მტერი გაუჩნდა—ევროპიელები მიესივნენ. ჩინელებს საშინლად სძულთ ევროპიელები და ამავე დროს მანჯურიის დინასტიაც (ჩინეთის იმპერატორები მანჯურიის ჩამომავლობისანი არიან) არა ნაკლებ სძაგთ. ჩინელმა ხალხმა ცხადად დაინახა, რომ მანჯურიის დინასტიას ევროპიელების პირი უჭირავს, და ჩინეთის სიმდიდრესა და ადგილმამულს სულ ევროპიელებს ურიგებს. ბოქსიორთა მოძრაობამ დაგვანახვა, რომ ჩინეთის ხალხს ევროპიელები მტრებად მიაჩნია. ეს მტრები უსათუოდ უნდა განიდევნენ, თორემ ჩინეთს მთლად დაჰღუპვენო, ჰფიქრობენ ჩინელები. ორმოცის წლის წინად ტაიპინგები მარტო მანჯურიის დინასტიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. თუ თავის ხალხის მოყვარული, სულით ძლიერი კაცი გამოჩნდება, ეხლა უფრო საშინელი მოძრაობა დაიწყება. ეხლა ხალხი ევროპიელებსაცა და მანჯურიის დინასტიასაც ორივეს ერთად დაუწყებს ბრძოლას.

ასეთი გმირი უეჭველად გამოჩნდება ჩინეთში; მაგრამ როდის გამოჩნდება, ეს კი ძნელი გამოსაცნობია. ევროპიელების წინააღმდეგ ხალხის აჯანყებას ეხლაც ძლიერ ცდილობენ. აქაურ გაზეთებში შემდეგი ცნობა ეწერა: ოქტომბერში ქალ. ლიანტენოსანში პროტესტანტის სარწმუნოების მქადაგებელთა სახლის კედლებზე ამნაირი პროკლამაცია გაეკრათ: რამწამს „ოქროს ბრძანება“—ესე იგი იმპერატორის ბრძანება, გამოიცემა, ყველა ჩინელი უნდა შეიკრიბოს და თავდაპირველად უცხოელებს დაეცეს, დახოცოს და ეს ამბავი მთავრობას მოახსენოს. მაშინ „შავის დროშების“ განთქმული სარდალი ლიუ-იუნ-ფუ მთიდან ჩამოვა, ევროპიელების ჯავრს ამოიყრის და ჩინეთიდან უცხოელებს სულ მთლად გაჰრეკავს. ეჭვი არაა, ევროპიელებმა ჩინელ ხალხს მრავალი მწუხარება და ვაება მიაყენეს, ეჭვი არაა, რომ მოძრაობა მთელს ჩინეთს მოედება, მაგრამ ძლიერ საეჭვოა, რომ ამ მოძრაობამ თავისი გაიტანოს: მანჯურიის დინასტია ჩინეთის ხალხს გადაუდგება, ევროპიელებს დაუჭერს მხარსა და ბატონობაზე კი ხელს არ აიღებს. ასე თუ ისე, ჩინეთში უსათუოდ დიდი ამბები და დიდი სისხლის ღვრა მოხდება“...

მანჯურიის საქმე

პეკინიდან იუწყებიან: რუსეთის ელჩმა ბ-ნმა ლესარმა გამოუცხადა ჩინეთის მთავრობას: სანამ კარგ გარანტიას არ მოგვცემთ და არ დაგვარწმუნებთ, რომ რუსეთის უფლება და უპირატესობა მანჯურიაში მტკიცედ იქმნება დაცული, რუსეთის ჯარი მანჯურიიდან არ დაიძვრებაო.

იაპონური პრესა მკაცრადა ჰკიცხავს რუსეთის ელჩს: მეტის მეტსა თხოულობსო. იაპონური გაზეთები სწერენ: ეტყობა, რუსები მანჯურიიდან წასვლას სულაც არ აპირებენო. საინტერესოა, განათლებულ ქვეყნიერობის წინ რით იმართლებს თავს რუსეთი? მაგრამ ეხლავე ვიცით, რუსეთი ცუდ ამინდსა და ავდრებს მოიმიზეზებს; იტყვის, წვიმებმა და წყალ-დიდობამ მანჯურიაში რკინის გზა სულ წაახდინა; ასე გაოხრებულს ხომ ვერ დავტოვებთ, უნდა შევაკეთოთო, ასე რომ ძალა-უნებურად უნდა დავრჩეთ, სანამ რკინის გზას არ შევაკეთებთ, აქედან ვერ წავალთო. როცა რკინის გზას შეაკეთებენ, მაშინ კიდევ საქმეს დაჰხედვენ და ისე მოიქცევიან...

ფეიქრების გაფიცვა საფრანგეთში

ამ დღეებში მოხსენებული გვქონდა, რომ ჩრდილოეთის დეპარტამენტის პრეფექტმა წინადადება მისცა საფეიქრო ფაბრიკების პატრონებს, სამედიატორო სასამართლოს დასთანხმდითო. ფაბრიკების პატრონებს ქალ. ლილში 10 ნოემბერს (ახ. სტ.) კრება მოუხდენიათ და ამ წინადადების თაობაზე მოულაპარაკნიათ. პატრონებს მთელი ოთხი საათი უთათბირნიათ და ბოლოს პრეფექტისათვის შემდეგი პასუხი გაუგზავნიათ:

„გვაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ არმანტიერელ მრეწველებმა კრება მოახდინეს და თქვენი წინადადება სამედიატორო სასამართლოს თაობაზე დიდის ყურადღებით განიხილეს. კრებამ დაადგინა, ჩვენსა და გაფიცულ მუშების შუა ატეხილ დავის გადაწყვეტა სამედიატორო სასამართლოს შემწეობით არ შეიძლებაო.

თქვენს წერილში ეწერა, მუშები ბეჯითად თხოულობენ, ერთის კვირის სამუშაო უნდა მოგვეცესო. მართალია, სამედიატორო სასამართლოს არა ვეთანხმდებით, მაგრამ მუშების მეორე მოთხოვნილებას კი შევასრულებთ და ერთის კვირის სამუშაოს სრულად მივცემთ. ამ ფულს პირველსავე შაბათს დავურიგებთ, თუ, რასაკვირველია, მუშები მუშაობას დაიწყებენ“.

გაზ. „მატენ“-ი სწერს: გაფიცულ მუშებს ერთის კვირის სამუშაო ქირად დიდი ფული—300 ათასი ფრანკი—ერგებათო. არმანტიერის საფეიქრო ფაბრიკებში მუშები ყოველ დღე 50 ათას ფრანკს შოვობენო.

ჯიოლიტის სამინისტრო იტალიაში

ბევრს ეგონა, ჯიოლიტის კაბინეტი სამსახურიდან გადაგებაო, მაგრამ ჯიოლიტი, ჯერჯერობით მაინც, ისევ სამსახურში რჩება. იტალიური ოფიციოზური გაზე. „კაპიტან ფრაკასა“ სწერს:

11 ნოემბერს (ახალ. სტ.) ჯიოლიტი მეფეს ეთათბირა სან-როსორეში და მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდა რომში. სანამ მეფესთან წავიდოდა, პირველი მინისტრი ძლიერ გულ-გატეხილი იყო და ამბობდა: „შესვენება მინდა, უსინიდისოდ მებრძვიან, ამ ბრძოლას ვერ გავუძლებო. პარლამენტში ხომ უფრო გამიჭირვებენ საქმესაო“. როსორედანაც დაღონებული დაბრუნდა. მინისტრები ტედესკა, რავა და ტიტონი ვოგზალში დაჰხვდნენ. ჯიოლიტიმ მარტო ორიოდე სიტყვა უთხრათ: „შეუძლოთა ვარ, დავიღალეო“, და მაშინვე შინ წავიდა. მერე გაიგეს, რომ მეფეს გაემხნევებინა და დაერწმუნებინა, სამსახურიდან გადადგომა არ შეიძლებაო.

„მესაჯერო“ იუწყება: „ჯიოლიტიმ მეფეს სამსახურიდან გადაყენება სთხოვა. მეფემ ასე-

თი პასუხი მისცა: თუ მართლა კარგი მინისტრები ვერ მოიწვიეთ, მაგის პასუხიც თქვენ უნდა აგოთ, და თუ გულ-წრფელად დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი მოვალეობა სინიდისიერად შეასრულეთ, უსათუოდ პარლამენტს უნდა წარუდგეთ და იმის მსჯავრს დასთანხმდეთო.

ჯიოლიტის ჭკუაში დაუჯდა მეფის ნათქვამი და სამსახურიდან აღარ გადადგა.“

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 8 ნოემბერს, **დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის** სახელწოდების დღეს, ტფ. კადეტთა კორპუსის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უფროსნი და დიდძალი საზოგადოება.

◆ 6 ნოემბერს, როდესაც ტფილისში ბაქოდან მოსულ მატარებლის ერთი ვაგონი გაუსინჯავთ, **ქურდობა აღმოუჩენიათ.** ამ ვაგონიდან მოუპარავთ 11,000 მანეთის სამანუფაქტურო საქონელი. ვაგონს არაფერი ზიანი არ ეტყობა. ჰფიქრობენ, რომ ქურდობა ბაქოში უნდა მომხდარიყოს.

◆ როგორც „კავ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, 6 ნოემბერს ზაქათალაში, თავის სახლში, ვიღაც კაცს ფანჯრიდან **დაუჭრია ტყის გამგე** ბ-ნი კლიმენკო. მიზეზი, როგორც ჰფიქრობენ, შურის ძიება უნდა იყოს.

◆ ხორცის დუქნების გამგე-კომისიამ **ვერის სასწორთან** სავაჭრო ბაზრის მოწყობის შესახებ დაადგინა, მიანდოს გამგეობის წევრს ამ საქმის პროექტის შემუშავება და აგრეთვე, შეეკითხოს ქალაქის გამგეობას რა მიზეზია, რომ აქამდე საკითხი ქალაქის ახალ საყასპოსა და საქონლის სადგომ ბაკების შესახებ შეჩერებულა.

◆ გუშინ, 8 ნოემბერს, ხმოსანმა ნ. თამამშევმა განცხადება წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას საბჭოში შესატანად. თამამშევი სწერს, რომ უსახელო საზოგადოება ბევრს გარეშე კაცს აძლევს **ტრამვაის უფასო ბილეთს** და ამით დიდი ზარალი აქვს ქალაქის თვითმმართველობასაო. რადგან მოახლოვდა ბილეთების განახლების ვადა, ხმოსანი სთხოვს ქალაქის საბჭოს განიხილოს. 1. ნება აქვს თუ არა უსახელო საზოგადოებას მისცეს უფასოდ ბილეთები გარეშეთაც იმათ გარდა, რომელნიც ხელშეკრულობაში არიან მოხსენებულნი; 2. გარეშეთათვის ბილეთების დარიგებით უსახელო საზოგადოება არღვევს თუ არა ქალაქთან დადებულ ხელშეკრულობას და დარღვეულად ჩაითვლება ხელშეკრულება უკვე თუ არა; 3. აქვს თუ არა უფლება ქალაქს ნება არ მისცეს უსახელო საზოგადოებას ბილეთების დარიგებისა.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტფილისის **საბაღოსნო სკოლის გამგედ** ნამყოფმა პრიტულენკომ კარგა ბლომად ფული გაიყოლა სკოლისა. პრიტულენკო მებაღედ მიუწვევია კერჩის ქალაქის გამგეობას. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სთხოვა კერჩის ქალაქის გამგეობას დაუჭიროს პრიტულენკოს ჯამაგირიდან და გამოუგზავნოს სკოლის ფული.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის სავაჭრო სკოლის სამზრუნველო კომიტეტმა დაადგინა, მადლობა გამოუცხადოს ბ-ნ მანთაშევს 50 ათას მანეთის **შეწირვისათვის.** დაადგინა აგრეთვე დაჰკიდოს დარბაზში ბ-ნ მანთაშევის სურათი და აღძრას შუამდგომლობა, რომ შემომწირველს ეწოდოს სკოლის საპატიო მზრუნველი.

◆ 7 ნოემბერს ქუჩების საუკეთესო სისტემით მომკირწვლელმა კომისიამ **ქუჩების მოსაკირწლავად** საერთო გეგმის შემუშავება მიანდო ინჟენერს პ. ა. ალხაზოვს. ამას გარდა კომისიამ შეიწყნარა განცხადება უსინათლოთა სკოლისათვის მზრუნველ საზოგადოებისა სკოლასთან მდებარე ეტაფისა და ოვრაგის ქუჩების მოკირწვლის შესახებ.

◆ ოდესიდან ტრაპანის ფირმამ შეატყობინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ ამ ევროპიელ ქარხნების წარმომადგენლობა, რომლებიც ამზადებენ **გოგირდს, შაბიამანს** და სხვა მასალას ვაზის სამკურნალოდ, ჩვენმა ფირმამ იკისრაო. ტრაპანი სწერს საბჭოს, რადგან კავკასიაში დიდი მოთხოვნილებაა წამლებისა, დროით შემატყობინეთ რამდენია საჭიროო. ფირმა შეღავათიან ფასად ჰპირდება წამლებს საზოგადოებას.

◆ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობამ სთხოვა პოლიცმეისტერს სტატისტიკო ბიუროდან უფასოდ მიეცეს ცნობები მოქალაქეთა გამგეობას.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ეხლავე მოაკირწვლინოს ქალაქის ის ქუჩები, რომლებიც მტკვარზე ჩადიან, რადგან ამ ქუჩებში დიდი ტალახი დგება. ქუჩების მომკირწვლელმა კომისიამ ჯერ დაათვალიეროს სურფ-კარაპეტის, რიყისა, ბორანისა და სხვ. მტკვრისკენ მიმავალი ქუჩები და თუ საჭიროდ სცნობს, მოაკირწვლინოს.

◆ 7 ნოემბერს, პოლიციის მე-10 ნაწილში, ნიკოლოოზ ბაბიჩევისთვის ალექსანდრეს ქუჩაზე ვიღაც ქურდებს მოუპარავთ პალტო, ქუდი და სხვა ტანისამოსი.

—

დღევანდელ №-თან ერთად ხელის მომწერთ ურიგდება **სურათებიანი დამატების** მე-166 №, რომელშიაც მოთავსებულია: „ოცნების ტალღები“, ლექსი მ. ადამაშვილისა; „კედელი“ (დასასრული), მოთხრობა ლ. ანდრეევისა, თარგმ. ი. პ—სა; სურათები: „დილა ტყეში“, შიშკინისა, „სამხედრო გემზე“, ცინდნერისა, „მომაკვდავის სულს ელიან“, ქერტსისა და ორი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 3 ნოემბერს ქალაქის საბჭოს სხდომა კიდევ არ შესდგა. ეს სხდომა ერთხელ უკვე გადადებული იყო და, რადგან მეორედაც არ შესდგა, სხდომაზე გასარჩევი საქმეები გაეგზავნება გუბერნატორს, რომელიც თავის შეხედულებით გადასწყვეტს. ასე გულ-მოდგინედ ეკიდებიან ჩვენი ქალაქის მამები ქალაქის საქმეებს. მაგრამ ცოტა დანაშაული ქალაქის გამგეობასაც მიუძღვის: არც ერთი ისეთი საკითხი არ შეიტანა საქმეების სიაში, რომელსაც ხმოსნები მიეზიდნა.

◆ ი. ი. ჯაფარიძე, რომელიც ვაჟთა გიმნაზიაში იყო მიწვეული მათემატიკის საგნების მასწავლებლად, სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, რაღაც გაუგებარ მიზეზისა გამო, არ დაამტკიცა. მის მაგივრად დანიშნეს ვიღაც ლემბერგი, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამოსულა ქუთაისში.

◆ ჟანდარმთა გამგეობას თხოვნით მიუმართავს გუბერნატორისათვის, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ქუთაისში ამ ბოლო დროს სახლები გაძვირდაო. თხოულობენ ჟანდარმებს მოემატოთ სადგომების საქირავებელი ფული; 120 მანეთის მაგივრად მიეცეს თითოეულს წლიურად 180 მანეთი—ან თვითონ ქალაქმა დაუქირაოს. ეს თხოვნა გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას გადასცა და წინადადება მისცა, ქალაქის საბჭოს სხდომამ განიხილოს იგი.

◆ გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რომ პოლიციის ცენტრალურ განყოფილებას დაუქირაოს ახალი ბინა. ეს წინადადება იმას გამოუწვევია, რომ პოლიციას საჩივრით მიუმართავს გუბერნატორისათვის, ბინა ძლიერ ნოტიო და უვარგისია და შიგ დგომა შეუძლებელიაო. ბინა შეუმოწმებია ექიმს და უვარგისად უცვნია. რამდენად უვარგისია ეს ბინა, არ ვიცით, მაგრამ ის-კი ვიცით, რომ ამ ბინაზე იდგა ექიმი, იდგა დივიზიის უფროსი, მოთავსებული იყო შიგ სკოლა. ეხლა, იქნება, მართლაც არ ვარგოდეს ბინა, მაგრამ ქალაქი სწორედ უხერხულს მდგომარეობაშია ჩაყენებული, რადგან ბინა ხუთის წლითა აქვს ნაქირავები და ჯერ კი მხოლოდ სამი წელია გასული. ასე ორის წლის ქირა ქალაქმა ტყუილად უნდა გადაიხადოს, თუ ბინა დასცალა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბინა უქირავებია და ჩაუბარებია პოლიციის ბოქაულს.

◆ ა. მ. ჭყონიამ წინადადება მისცა ქალაქს, საქიმიო ლაბორატორიის მოსათავსებლად შეიძინოს იმისი სახლი, გეგუთის ქუჩის აბულაძის შესახვევში მდებარე, სადაც ეხლა მოთავსებულია შავი-ქვის მრეწველთა საბჭო, რისთვისაც თხოულობს 16,000 მანეთს. მამული 900 ოთხ-კუთხი საჟენია, რომელზედაც დგას რვა ოთახიანი ქვითკარის სახლი.

შინ და გარედ

31.

„ნოვ. ობოზრ.“-ში „გარეშე მეთვალყურე“ ამტკიცებს, ვითომ მე ტყუილად დავწამე ვერაგობა „საბჭოს ძველ ოპპოზიციის“ წრეს. სიამოვნებით აღვიარებდი შეცდომას, მაგრამ, სამწუხაროდ, ბ. გარეშე მეთვალყურემ ვერ დამაჯერა.

მეთვალყურე გვეუბნება: სტ. ჰრელაშვილი სრულიადაც არ ყოფილა წრის ერთად ერთ კანდიდატადაო; წრის ხმები ორად გაიყო—ბ. ბ. ჰრელაშვილისა და ტიგრანოვის შუა და ამიტომ წრემ გადაწყვიტა: ამ ორ კანდიდატისაგან იმას მივცეთ მხარი, ვისაც მეტი შანსი ექნება გამარჯვებისაო; ხოლო საბჭოს ხმოსანთა კერძო კრებამ გამოამჟღავნა, რომ მეტი შანსი ტიგრანოვს ჰქონდაო.

ასე გადმოგვცემს საქმის ვითარებას ბ. მეთვალყურე და თანაც ამბობს, სარწმუნო ცნობებით ვიცი, რომ საქმე ასე იყოო. არ ვიცი როგორი „სარწმუნო ცნობები“ ჰქონია ხელთ ბ. გარეშე მეთვალყურეს, მაგრამ ჩემი, არა ნაკლებ სარწმუნო, ცნობები საქმეს ცოტა სხვანაირად გვისურათებენ.

წრის სხდომაზე სჯა-ბაასი ჰქონიათ უმთავრესად სამ კანდიდატზე: ექიმ ხატისოვზე, ტიგრანოვზე და ჰრელაშვილზე და ბოლოს კენჭიც უყრიათ; ხმები გაყოფილა, ისე რომ ძნელი იყო წრის ნამდვილი სურვილის გაგება; მაშინ ზოგიერთებს უთქვამთ—ექ. ხატისოვი კენჭს არ იყრისო და ამიტომ ჩვენმა წრემ დანარჩენ ორ კანდიდატზე იქონიოს მსჯელობაო. ბოლოს კენჭი სტ. ჰრელაშვილსა და ლ. ტიგრანოვს უყარეს და

ფელეტონი

პატარა ამბები

თ. მეშჩერსკის „როზგისა“ და „მეგობრულის სიტყვებისა“ გამო.—მამა ღამბაშიძის სასულიერო ჟურნალი.—საინტერესო პროცესსები.

მრავალის ღირსების პატრონს, პოლიციის ბოქაულად და აგენტად ნამყოფს თავადს მეშჩერსკის თამამად შეუძლია სთქვას: მე ერთად-ერთი ვარო! ერთად-ერთი მარტო რუსეთში კი არა, არამედ მთელს დედამიწაზე! ნაპოლეონიც ერთად-ერთი იყო, გოგოლის ისპანიის მეფეც ფერდინანდ VIII! დიდი ბუნების ადამიანი ყოველთვის ერთია და მისი ზიდვაც კი უჭირს დედამიწას, თორემ მეშჩერსკისთანა ადამიანები ერთბაშად რომ ბევრი იბადებოდეს, ქვეყანა ვეღარ გაუძლებდა მათ და თუმცა რუსეთი დიდი და მძლავრი სახელმწიფოა, მაგრამ აქამდის დიდი ხანია დაიღუპებოდა და ქვესკნელში გაიარდა!..

ამას წინად ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი თავად მეშჩერსკის მიერ მოთხრობილი ერთი შესანიშნავი ამბავი იმის შესახებ, თუ ერთმა პოვოზკა როზგმა როგორ დაიხსნა მთელი ქალაქი ამბოხებისა და, შეიძლება, რევოლიუციისაგანაც! ქალაქში არეულობა უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჭკვიანმა (და უთუოდ, თ. მეშჩერსკის ღრმად პატივისმცემელმა) უფროსმა ერთი პოვოზკა „როზგი“ გაატარა წინ-და-წინ ქალაქის ქუჩებზე და მის დანახვაზე ყველა, ვინც კი ისიც იყო ამბოხებას აპირებდა, მუხლებზე დაეცა და მოწიწებით თაყვანი სცა „როზგსო“. ამასთანავე თავადი მწერალი იმას გვიამბობს, რომ იმ ქალაქში „როზგს“ ძეგლი უნდა აუგონო და სწორედ იმ პირებმა, რომელთა გასალახავად იყო დამზადებული „როზგიო“.

დაიჯერეთ, მკითხველო! გთხოვთ, დაიჯერეთ! რადგან დიდის კაცისაგან ყოველისფერი მოსალოდნელია და მისის ნიჭის ნაყოფიერობას საზღვარი არა აქვს. დაიჯერეთ იმიტომაც, რომ „როზგი“ მეტყველობს და მწარეა მისი სიტყვა, და თუ ყურნი არა ისმენენ მას, ისმენენ ძვლები!... თ. მეშჩერსკის თავის ამბებისა და აზრების გასავრცელებლად საკუთარი ორგანო აქვს, კარგა ხანია, რომელსაც სახელად ეწოდება „მოქალაქე“, ლათინურად civis, რომლისაგანაც წარმოსდგა სიტყვა ცივილიზაცია. აქედან ადვილად მიხვდებით, თუ რა ახლოს არის ჩვენი თავადი ცივილიზაციასთან, რომელიც ისე უყვარს, რომ ლამის გადაყლაპოს და შთანთქას. გამიგონია, ნაპოლეონ პირველს ისე ძლიერ უყვარდა თავისუფლება, რომ ყველას წაართვა და მხოლოდ თავისთვის დაისაკუთრაო. თ. მეშჩერსკიც თუ ცივილიზაციას სპობს და ანადგურებს, მისდამი ძლიერის სიყვარულისა გამოო, გვარწმუნებს. გარდა ამ „მოქალაქისა“, რომელიც უფრო მაღალ წოდებისათვის არის დაარსებული, თ. მეშჩერსკიმ ბოლო დროს მეორე გაზეთიც დააარსა უბრალო ხალხისათვის (იგულისხმე: ბრიყვთათვის!), რომელსაც უწოდა არა ნაკლებ საყვარელი სახელი „მეგობრული სიტყვები“. ყოველს კეთილს საქმეს ნაკლები გასავალი აქვს. ამით იხელმძღვანელა, ალბად, თავადმა, რომ თავის ახალ ორგანოს გასავრცელებლად სხვა-და-სხვა გარეშე დამხმარებელ საშუალებას მიმართა, სთხოვა გავლენიან ადამიანებს, ურჩიეთ ხალხს (იგივე: ბრიყვებს), გამოიწერონ ჩემი გაზეთი, რომელიც სახარების შემდეგ მიანიჭებს მათ სასუფეველს (თავადი არ ამბობს, რომელს?), დაწყნარდება მათი სული, დამშვიდდება გრძნობა და მოისპობა ყოველივე სურვილი, რომელსაც ბოროტისაკენ მიჰყავს მხოლოდ ადამიანი და არა კეთილისაკენო...

ჯერ არაფერი ვიცით, რამდენად იქონიეს გავლენა გავლენიანმა პირებმა, გავრცელდება თუ არა „მეგობრული სიტყვები“, იტირებს მათზე, როგორც სტიროდა ჩვენი თავადი „მოქალაქეზე“ იუბილეს გამო, რომელიც არავინ არ იდღესასწაულა, თუ იცინებს, ამას ყველაფერს მალე გვაცნობებს უტყუარი და მართლმსაჯული ისტორია. ჯერ-ჯერობით კი რუსულმა გაზეთებმა ერთი საყურადღებო ამბავი გვაცნობეს: კურლიანდიის ერთს სამამასახლისოს ურჩიეს „მეგობრულის სიტყვების“ გამოწერა, მაგრამ გლეხებმა უარი შეუთვალესო. ეგივე „ურჩიეს“ მეორეჯერაც, გლეხებმა მაინც არ გვინდაო...

ნეტავ ჩვენ რად არ გვირჩიეს? ჩვენ ხომ გამოვიწერდით და დიდის სიამოვნებითაც! განა ბ. ველიჩკოს „გულახდილ სიტყვებს“ თუ ვიწერდით და არამც თუ ვიწერდით, სუბსიდიასაც კი ვაძლევდით, თავად მეშჩერსკის „მეგობრული სიტყვები“ უკეთესი არ არის! სხვა არა იყოს-რა, მეშჩერსკის ის უპირატესობა მაინც აქვს, რომ იგი თავადია!..

**

წარსულ ოქტომბრის 31 შესრულდა 20 წელიწადი, რაც მამა ღამბაშიძეს „მწყემსის“ გამოცემის ნებართვა მიუღია. ამის გამო ჟურნალის მეათე ნომერში სარედაქციო წერილია დაბეჭდილი. ყველაზე უწინარეს რედაქტორი გვაუწყებს, რომ ჟურნალის დაარსება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ქართულ-ჟურნალ გაზეთებმა მეტის-მეტი ცალკერძი (?) მსჯელობა დაიწყეს სამღვდელოებაზე; ერთის რომელისამე მღვდლის დანაშაულობისათვის მთელს სამღვდელოებას დაუწყებდნენ ხოლმე შეუფერებლად ბრალდებას. როგორც სჩანს, მამა რედაქტორს თავისი „მწყემსი“ დაუარსებია ქართველ სამღვდელოების დასაცველად. მაგრამ იცავენ დაჩაგრულს, ჩვენ კი პირველად გვესმის, რომ სამღვდელოება ჩვენში დაჩაგრული იყოს დღეს. ჩვენი სამღვდელოება თუ ყოფილა დაჩაგრული, წინად, როდესაც იგი მიუხედავად ამ დაჩაგვრისა, მოწინავე მებრძოლად ითვლებოდა. ყოველ კუთხიდან ეხლა ის-ღა გვესმის მხოლოდ, რომ მღვდლებმა შეგვავიწროვეს და უსამართლოდ გვეპყრობიანო. ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა თუ უჩიოდა სამღვდელოებას, იმიტომ, რომ სამღვდელონი არამც თუ სრულიად ჩამორჩნენ ცხოვრებას, ამ ცხოვრების განვითარების წინააღმდეგნი და დამაბრკოლებელნიც კი შეიქნენ. ვერავინ დაასახელებს, გარდა ორი-სამის მაგალითისა, რომ მთელის საუკუნის განმავლობაში ჩვენს სამღვდელოებას კეთილი გავლენა ჰქონოდეს ქართველ საზოგადოებაზე...

თვითონ მამა ღამბაშიძე აღიარებს თავის წერილში, რომ უკანასკნელ დროში დიდი ცვლილებები მოხდა, განსაკუთრებით სასულიერო წოდებაში. „დედამიწაზე არ მოიძებნება ისეთი ხალხი, როგორიც ჩვენ ქართველები ვართ, რომ ასე უგრძნობლად მიგებებოდნენ ყოველგვარ ცვლილებებს, როგორც ჩვენ ვეგებებით უდარდელად და არ-

უმეტესობა პირველს ერგო. წარმოიდგინეთ, რომ წრის ერთ-ერთ წინანდელ კრებაზედაც ჩამოვარდნილა ლაპარაკი—სავალდებულოა თუ არა მთელის წრისთვის უმეტესობის გადაწყვეტილება კანდიდატის შესახებ და სწორედ მაშინ ერთ-ერთ კანდიდატს უთქვამს: ვისაც მეტი თეთრი ერგოს ჩვენ შორის, ის იყოს წრის კანდიდატიცაო. ამის წინააღმდეგი არავინ ყოფილა, რადგან ამას მოითხოვს ყოველ შეთანხმებულ შეკრებულობის არსებობა. მართლაც, რაღა აზრი აქვს შეთანხმებულ მოქმედებას, რაღა „raison d'ètre“-ი აქვს წრეს, თუ მისი გადაწყვეტილება სავალდებულო არ იქნება ყველა წევრთათვის? ჩემის ფიქრით, წრეც სწორედ ასე ჰფიქრობდა და ამავე მნიშვნელობას აძლევდა თავის უმრავლესობის დადგენილებას; წინააღმდეგ შემთხვევაში ის კენჭს არ უყრიდა ბ. ბ. ჭრელაშვილსა და ტიგრანოვს: თუ წრეს ორივე მიაჩნდა თავის კანდიდატად, როგორც ბ. მეთვალყურე ამბობს, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა კენჭის ყრას? მაშინ წრე კენჭის უყრელად იტყოდა: ჩვენ ორ კანდიდატთაგან იმას მივემხროთ, ვისაც მეტი შანსი ექნებაო. წრემ სწორედ იმიტომ უყარა კენჭი ორივეს, რომ უნდოდა გამოერკვია—ვინ იქნება წრის კანდიდატი. ესეც გამოირკვა, მაგრამ უმეტესობამ არ ირწმუნა ეს გამორკვევა და მეც უფლება მქონდა ამგვარი საქციელი ვერაგობად მომენათლა...

სრულს სიმართლეს ამბობს ბ. მეთვალყურე, რომ წრის მოქმედებაში „разномысліе“ არ უნდა იყოს, თორემ ყოველთვის სხვის სურვილისა და განზრახვის მსხვერპლი გახდება. აი ამ შემთხვევაშიაც წრე „დვორც. ნომრ.“-ის მსხვერპლი გახდა, თუმცა შეეძლო თავისი გაეყვანა, რომ გულ-წრფელად **ერთი** კანდიდატი წამოეყენებია. „ახალ საბჭოს ოპპოზიციის“ ჯგუფსა და „ძველ საბჭოს ოპპოზიციის“ წრეს სულ 39 ხმა აქვს; 39 ხმას, რასაკვირველია, უბრალო შემთხვევა ვერ დასძლევს და „დვორც. ნომრები“-ც ვერას გახდებოდა.

დასასრულ ვიმეორებ: ამ საქმეზე იმიტომ შევჩერდი დიდ-ხანს, რომ მისი პრინციპიალური მხარე მაინტერესებს და ბ. გარეშე მეთვალყურესთან ერთად ვამბობ: წრემ უნდა დაამყაროს დისციპლინა და სოლიდარობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი არსებობა სრულიად ფუჭი იქმნება.

გან

P. S. როცა ეს სტრიქონები უკვე სტამბაში მქონდა მიცემული, ნ. ა. ხუდადოვი შემხვდა და მითხრა: არც თქვენ, არც გარეშე მეთვალყურეს ნამდვილი ცნობები არ გქონიათ ხელთ. წრის წინანდელ კრებაზე დადგენილ იქმნა ვინც წრის წევრთა $^2/_3$ ხმას მიიღებს, ის იყოს კანდიდატადო; კენჭის ყრამ $^2/_3$ არავის არგუნა და ამიტომ წრეს კანდიდატი არც-კი ჰყავდაო.

მოდი ეხლა და გაიგე, ვის ჰქონია ხელთ „უტყუარი ცნობები“: ბ. ხუდადოვს, გარეშე მეთვალყურეს თუ მე! ყოველ შემთხვევაში წრის მოქმედება აწეწილ-დაწეწილია და მართალი, ალბად, ალლაჰმა უწყის...

გ.

რუსეთის ქრონიკა

— როგორც „პრიაზ. კრაი“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან, უმაღლესმა მთავრობამ 1904 წლისათვის გაადიდა საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტი ხუთ-მილიონ მანეთით. სამინისტრო რვა მილიონ მანეთსა თხოულობდა.

◆ ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარმა გამგეობამ მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ორი მილიონი მანეთი შეიტანა ახალ ტელეგრაფებისა და ტელეფონების გასამართავად.

◆ გზათა სამინისტრო ჰფიქრობს რკინის გზის ყველა სადგურზე ცეცხლის მქრობ რაზმების მოწყობას.

◆ მთავრობამ შეიმუშავა ახალი სააფთიაქო წესდება. ამ წესდების ძალით, ქალაქისა და ერობის გამგეობებს ნება მიეცემათ დააარსონ აფთიაქები, სადაც წამლებსაც გაჰყიდიან. ახალ წესდებას მალე სახელმწიფო საბჭოში შეიტანენ განსახილველად.

პატარა ფელეტონი

ჭლექის წამალი

დეპეშამ პარიზიდან სასიხარულო ამბავი მოგვიტანა. ექიმ მარმორეკს პარიზის სამკურნალო აკადემიისთვის უცნობებია, რომ ტუბერკულეზის წამალი გამოვიგონეო. თუ ეს ამბავი გამართლდა, ექიმი მარმორეკი მთელ კაცობრიობის სათაყვანებელ კაცად გადაიქცევა.

ალექსანდრე მარმორეკი ავსტრიელი ბაქტერიოლოგია. დღემდე პარიზში არსებულ პასტერის ინსტიტუტში მუშაობდა და ცნობილ მეცნიერთა რუს და მეჩნიკოვის მოსწავლედ ითვლებოდა. მარმორეკს წინადაც კარგად იცნობდნენ. ამ ექვსის წლის წინად იმან შეამზადა ერთგვარი შრატი, რომლითაც წითელ ქარიანებს არჩენენ და აგრეთვე ცხენებს ქოთაოსაგან. მარმორეკს თავის მოხსენება ჭლექის წამლის შესახებ პარიზის სამკურნალო აკადემიისთვის უნდა წაეკითხნა 12 ნოემბერს, მაგრამ ვერ წაიკითხა ზემოხსენებულ მეცნიერთა, რუსა და მეჩნიკოვის, მიზეზით. პასტერის ინსტიტუტში დაარსებიდანვე წესადაა დადებული, რომ თუ ინსტიტუტის წევრი ახალ რამეს აღმოაჩენს, ეს აღმოჩენა უნდა გასინჯოს და შეამოწმოს ინსტიტუტის დირექციამ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამომგონს არ შეუძლიან, ინსტიტუტის სახელით ისარგებლოს და თავისი გამოგონება გაამჟღავნოს. ინსტიტუტი ასე იქცევა სიფრთხილის გულისთვის. ხშირად მეცნიერი სცდება, როგორც, მაგალითად, კოხი შესცდა. ინსტიტუტს ეს არ უნდა და ამიტომ ყველა თავის წევრს ავალებს, გამოგონება წარუდგინოს გამომჟღავნებამდე შესამოწმებლად. ასე მოექცა ინსტიტუტის დირექცია მარმორეკსაც, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მოისურვა თავის გამოგონების შესამოწმებლად გადაცემა და პირდაპირ სამკურნალო აკადემიას მიჰმართა. შედეგად ამ შეტაკებას კიდევ ის მოჰყვა, რომ მარმორეკმა პასტერის ინსტიტუტს სრულიად თავი მიანება.

ექიმ მარმორეკის ნაცნობნი და მეგობარნი, როგორც ერთ რუსულ გაზეთს ატყობინებენ, სულ სხვანაირად ხსნიან მეცნიერთა „შეტაკებას“. იმათის აზრით, ინსტიტუტის დირექციას შეჰშურდა, რომ ისეთი სენის წამალი, როგორიც ჭლექია, გამოიგონა ახლად მოსულმა, ამასთან არა ფრანგმა ექიმმა. თუ ამ მეგობრებს დავუჯერებთ, მარმორეკმა სამუდამოდ ბოლო მოუღო ჭლექს: მისი შრატი უტყუარი, ნამდვილი წამალია ჭლექისაო. ექვსი წელიწადია თურმე, რაც მარმორეკი ამ საქმისთვის მუშაობს. მარმორეკმა თავისი შრატი ზღვის გოჭებისაგან კი არა, ცხენებისაგან შეამზადა. ამბობენ, როცა კი სცადეს ეს შრატი, ყოველთვის სასურველი ნაყოფი მოჰყვა, ე. ი. ჭლექიანი მორჩენილა. შრატი უცდიათ პარიზის ზოგიერთ სამკურნალოში. ამას გარდა ბრესლაველი პროფესორი მიკულიჩი ორი წელიწადია თურმე ჭლექიანებს არჩენს მარმორეკის შრატით. ეხლა ეს პროფესორიც აცხადებს, რომ ახალი შრატი უტყუარი და უებარი წამალია ჭლექისა.

ვნახოთ, მომავალი რას მოგვიტანს. ეჭვი არ არის, დიდი ხანი არ მოგვიხდება ცდა.

სასამართლო

I

პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა

6 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის მაზრის სოფელ ჯიჯიხიას მცხოვრებთა მაკრინე (იგივე დესპინე) და სილიბისტრო ვაშაკიძეებისა და ტფილისის მოქალაქის არშაკ ოქოევისა, რომელთაც პოლიციის მოხელეთათვის სამსახურის ასრულების დროს წინააღმდეგობის გაწევა და მოქმედებითი შეურაცხება ჰბრალდებოდათ. ტფილისის პოლიციის მე-9 ნაწილის ბოქაულს ივანოვს 1900 წელს დაუვალებია უბნის ზედამხედველის შუმლიანსკისათვის, თვალ-ყური ედევნებინა ანდრონიკოვის ქუჩაზე მცხოვრებ მაკრინე ვაშაკიძისათვის. მიზეზი ის ყოფილა, რომ ვაშაკიძე მამაკაცებსა და ცუდ ყოფა-ქცევის ქალებს შორის მაჭანკლობდა თურმე. 1900 წელს, 27 ნოემბერს, საღამოთი, შუმლიანსკის წაუყვანია თან პოლიციელი შაცკი და მისულა ვაშაკიძის სახლში გასაჩხრეკად. სახლში უნახავს ცუდი ყოფა-ქცევის ქალები და კაცები. როგორც პოლიციის მოხელე დაუნახავთ, შეკრებილთ დაუწყიათ იმისთვის დედმამის გინება და ცემა ჯოხებითა და სხვა იარაღით. თვით მაკრინე ვაშაკიძე მიჰვარდნია ზედამხედველს, პაგონები აუგლეჯია. შუამლიანსკის ხმალი ამოუღია. შეკრებილნი აქეთ-იქით მიმალულან, გარდა არშაკ ოქოევისა და მაკრინე ვაშაკიძისა. ოქოევს პოლიციელისთვის დანით ხელი გაუჭრია. პოლიციელებს დაუჭერიათ ვაშაკიძე და ოქოევი და პოლიციაში წაუყვანიათ. ვაშაკიძე პოლიციიდან რაღაც ნაირად გაპარულა და სახლში წასულა. ბოქაულს ივანოვს უბრძანებია, ხელ. ახლა დაეჭირათ ვაშაკიძე და პოლიციაში მიეყვანათ. ბრძანების აღსასრულებლად შუმლიანსკი მეორე დღეს, 28 ნოემბერს, საღამოთი წასულა კიდევ ვაშაკიძისას, მაგრამ კარები დაკეტილი დაჰხვედრია. რადგან სახლში მყოფთ ნებით კარები არ გაუღიათ, პოლიციელს შაცკის ფეხი უკრავს და კარები ძალათი შეუღია. სახლში მყოფნი ყველანი გაქცეულან და მეორე ოთახში მიმალულან. როცა შუმლიანსკი სახლში შესულა, კარებთან უნახავს მაკრინეს ძმა სილ. ვაშაკიძე, რომელიც რევოლვერით ხელში კარებში ჩამდგარა. როცა პოლიციელს მიუწევია კარების გასაღებად, სილიბისტროს რევოლვერი ჩაურტყამს თავში პოლიციელისათვის. შემდეგ დაუმიზნებია რევოლვერი სხვა პოლიციელებისათვის და უთქვამს, ფეხი არ გადმოდგათ, თორემ მოგკლავთო: ძმას მოშველებია და ჯოხით ხელში.

ამის გამო პასუხის გებაში მიცემულთა საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოს განუხილავს ამას წინად, დამნაშავედ უცვნია სამივე ბრალდებული და გადაუწყვეტია მაკრინე ვაშაკიძისათვის ყოველისავე განსაკუთრებულ პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და საპყრობილეში $1^1/_2$ წლით დაპატიმრება. სილიბისტრო ვაშაკიძისათვის—მცირე წლოვანობისა გამო,—ავჭალის მცირეწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენში მოთავსება, ხოლო ოქოევისათვის—ერთის თვით საპყრობილეში დაპატიმრება. ბრალდებულთ ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებიათ სამოსამართლო პალატაში. პალატამ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

II

ბავშვის მოკვლა

1903 წელს, 21 თებერვალს, ბორჩალოს მაზრის სოფელ დარბაზის მახლობლად მდებარე საგინაშვილის ტყეში ხეების მოჭრის თაობაზე ჩხუბი მოსვლიათ სოფელ დარბაზის მცხოვრებლებს, ერთის მხრით ყურბან-ატა-ხალილ-ოღლიჩა და მეორეს—იოლიჩი-ნასიბ-ოღლისა და იმის ძმებს. იოლიჩის ძმას თოფი უსროლია და მსუბუქად დაუჭრია ყურბანი. ყურბანა შემჯდარა ცხენზე და შინ გაქცეულა. როცა სოფელ დარბაზს მიახლოვებია, დაუნახავს, რომ იოლიჩის 7 წლის ვაჟი იზმაილი და იმისი ბიძაშვილი, 4 წლის ბიჭი, მინდორში პირუტყვს მწყემსავდნენ თურმე. დარბაზისავე მცხოვრებს ჰასან-გამბარ-ოღლის დაუჭერია 7 წლის იზმაილი და ყურბანასთვის მიუ-

---

ხეინად. ამ ცოტა ხნის განმავლობაში ჩვენ, ქართველებისათვის, განსაკუთრებით სამღვდელოებისათვის, დასდგა ახალი დრო, რომელიც ერთობ განსხვავდება ძველის დროისაგან“. დრო გამოცვლილა, ახალი დრო დამდგარა, მაგრამ ჩვენს სამღვდელოებას არ უგრძვნია არც ეს ცვლილება და არც დროს სიახლე. აღარ არის ძველი მიმართულება, ძველი ჩვეულება, ძმობა და სიყვარულობაო. მერე რომელმა მღვდელმა აღამაღლა თავისი ხმა ძველის ჩვეულებისა და მიმართულებისათვის? რომელი განამტკიცებდა ცხოვრებაში ძმობასა და სიყვარულობას? „განსაკუთრებით“ ხომ მათი მოვალეობა იყო ეს? და შეასრულეს იგი? არა! მამაო რედაქტორო! თორემ შეცვლილი დრო ჭეშმარიტად დაჩაგრავდა მათ, და მაშინ საჭირო იქნებოდა დიაღაც თქვენი დაცვა. ეხლა კი ვისგან უნდა დაიცვათ ისინი?

სარწმუნოება აღარ არისო, ამბობს ერთის მხრით მამა ღამბაშიძე; მაგრამ სასოწარკვეთილებას ნუ მივეცემითო, გვანუგეშებს მეორეს მხრით. სარწმუნოება, თუ იგი გვესმის არა როგორც მშრალი მოძღვრება, არამედ როგორც ცოცხალი, მომქმედი სარწმუნოება, რომელიც მოითხოვს განუწყვეტელ და უშიშარ ბრძოლას სიკეთისათვის, რომელიც მოითხოვს, რომ ეს სიკეთე კი არ იყოს მკვდარი, სიტყვიერი ფორმულა, არამედ განხორციელებული საქმე, რომ იგი კი არ შეიცვლებოდეს დაცემულის ცხოვრების დაგვარად, არამედ თვითონ შესცვლიდეს ამ ცხოვრების პირობებს,—ასეთი სარწმუნოება, ვიტყვით ჩვენც, შესუსტდა, თითქმის გაჰქრა სრულიად ჩვენს სამღვდელოებაში. სასოწარკვეთილებას არ მივეცემით არც ჩვენ. მაგრამ იმიტომ კი არა, როგორც „მწყემსის“ რედაქტორს ჰგონია, რომ ასეთი შესუსტება სარწმუნოებისა, ერთი მეორისაგან ჩაგვრა, ძალმომრეობა, დევნულობა წინადაც ყოფილა და კიდევ უარესი. „სად არის დღეს ის, რაც ხდებოდა რომში და რაც ხდებოდა შესანიშნავ კოლიზეში? გვეკითხება „მწყემსი“-ს რედაქტორი. სად არის ის, რაც ხდებოდა ჩვენში თათრებისა და სპარსელების დროს?“

რომისა და ეგვიპტეს შესახებ არაფერს ვიტყვით; რაც შეეხება ჩვენს წარსულს, მართალია, ჩვენი ქვეყანა ხშირად განადგურებული ყოფილა მტრებისაგან, მაგრამ მაშინ ცოცხალი იყო ადამიანის სული და ჩვენს სამღვდელოთა შორისაც მრავალი იყო წამებული ქრისტესათვის, მისის მოძღვრებისათვის!...

ვიქონიოთ იმედი და იმედიო, ამბობს დასასრულ მამა ღამბაშიძე. ვიქონიოთ! მაგრამ სად? ვისაგან? ეგ იმედი არასოდეს არ გვექნება იმათგან, რომელნიც ერთის მხრით, მაგალითად, ბრალსა სდებენ ქალაქის მღვდლებს, საზოგადო-სამღვდელო საქმეებზე არ ზრუნავენო, მეორეს მხრით კი ამართლებენ მათ, რადგან მოცლა არა აქვთო; რომელნიც ერთის მხრით არ ეთანხმებიან, წუნსა სდებენ ოფიციალურს გამოცემას, მეორეს მხრით კი აქებენ: გამოცემა მოსაწონი და საინტერესოა, შიგ ჰკუიანური წერილები იბეჭდებაო...

არც იქით, არც აქეთ? ან იქით, ან აქეთ!

Si cum Jesu itis...

* *

ამ ნოემბრის დამდეგს რამდენიმე შესანიშნავი საქმე გაირჩა თუ ტფილისის, თუ ქუთაისის სასამართლოებში. მომავალის ისტორიკოსისათვის საკმარისი იქნება, გაიცნოს ეს საქმეები, რომ ნათლად წარმოიდგინოს, თუ როგორი ცხოვრება გვაქვს დღევანდელს მცხოვრებლებს, რამდენად დაცულია ჩვენში ადამიანის ღირსება და უფლება.

ერთი ასეთი საქმე უკვე აღნიშნული იყო ჩვენის გაზეთის პატარა ფელეტონში; ეგ იმ ვაგარშაკ ხოიცევის, დიპლომიანის ველურის, ინჟენერ ხოიცევის საქმეა, რომელმაც თავისი მემამულე მელქონოვს არა თანამემამულეთა დახმარებით სცემა, აწვალა, სიმშილით დასტანჯა და იმ მდგომარეობამდის მიიყვანა, რომ ზნეობრივად შეურაცხყოფილმა და ფიზიკურად დატანჯულმა საბრალო მელქონოვმა ველარ მოითმინა და თავი ჩამოიხრჩო.. ხოიცევის დანაშაულობა ისეთია, რომლის შესახებს იტყვიან: მისი შესაფერი სასჯელი არ მოიპოვებაო!

ხოიცევის საქმეს მოგვაგონებს მეორე დიპლომანის, ექიმის მკრტიჩიანცის საქმე, რომელმაც სიტყვით და მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენა ქურდოვანიძის ქალს მხოლოდ იმიტომ, რომ შენს ნათესავს ფული მართებს და ამდენხანს რისთვის არ მომიტანაო...

1 ნოემბერს ქუთაისში სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია ქუთაისის პოლიცმეისტერის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ივლ. მესხის სიტყვის და მოქმედებით შეურაცხყოფა, და პოლიციის ბოქაულის საყვარელიძის და სატუსაღოს ზედამხედველის სიტყვით შეურაცხყოფა (ერთს „სტერვა“ დაუძახა პოლიცმეისტერმა, მეორეს „ეშაკ“ და „შარნიკად“ ნამყოფი). როგორც სასამართლოში გამოირკვა, 1902 წ. 26 ოქტომბერს პოლიცმეისტერი ჟანდარმებით და პოლიციელებით მისულა მესხის სახლში, სადაც მესხი და მისი სტუმრები ვახშმად ისხდნენ. როდესაც ზოგიერთები ფეხზე არ წამოდგნენ, პოლიცმეისტერმა მკაცრად შეუყვირა მათ: „როგორ ჰბედავთ ჯდომას, როდესაც მე შემოვედიო“! და ერთს სტუმართაგანს ჯოხი წაკრა და ქუდი გადაუგდო. შემდეგ თვითონ ივ. მესხს ლაზათიანი სილა გაარტყა და პოლიციელებს უბრძანა, შეჰკარით მესხიო, თუმცა მის სახლში გაჩხრეკის დროს ვერაფერი იპოვეს...

საქმის გარჩევის დროს ყველა მოწმემ პოლიცმეისტრის წინააღმდეგ ილაპარაკა, გარდა რამდენისამე პოლიციელისა და ზემო დასახელებულის შეურაცხყოფილის საყვარელიძისა, რომელთაც, როგორც ბრალმდებელმა შულცმა ილაპარაკა, ადგილების დაკარგვის ეშინოდათ და მათ ნალაპარაკევს პალატამ არც არავითარი მნიშვნელობა არ მისცა.

როგორც უკვე გამოცხადებული იყო გაზეთებში, პალატამ დამნაშავად იცნო პოლიცმეისტერი ლისოვსკი...

იმავე პალატის სესიამ გაარჩია ქუთაისში ჭიათურის სამრეწველო ბოქაულის ბ. არდიშვილის საქმე, რომელიც შეიძლება გულკეთილი კაცი იყოს, მაგრამ ძლიერ სუსტად კი ჰქონია შეგნებული თავისი და სხვისი უფლება: შეუპყრია ქურდი, გამოუტეხია, მოპარული ფული გამოურთმევია და თვითონვე გაუსამართლებია ოქმის შეუდგენლად და სასამართლოსთვის საქმის გადაუცემლად; მერე მოპარულის ფულიდან ნაწილი დაუჭერია, არ გადაუცია პატრონისათვის,—და ზოგი ვიღაც მ—ძისთვის მიუცია, რომელიც ქურდის აღმოჩენაში დამეხმარაო, ზოგითაც „სტრაჟნიკები დაუჯილდოვებია...

ტყვილად-კი არ ამბობენ: უფლება საზომია ხალხის მდგომარეობისაო. ჩვენი დაცემა უფლების შეუგნებლობაში გამოიხატება ყველაზედ მეტად!

სიტყვა

ყვანია. ყურბანა ისე გამხეცებული ყოფილა, რომ უძვრია ხანჯალი, მარცხენა ხელი ბავშვისთვის თმაში ჩაუვლია და თავი მოუგდებინებია. ჰასანი ახლა მეორე ბავშვს გამოსდევნებია დასაჭერად, მაგრამ ის წივილ-კივილით გაქცეულა და იქვე ორ მიმავალ თათარს ჩავარდნია, რომელთაც ბავშვი გამხეცებულ კაცის ხელიდან დაუხსნიათ.

ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა 7 ნოემბერს. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ორივე ბრალდებული და გადაუწყვიტა: ყურბან ხალილ-ოღლის—ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში 4 წლით გაგზავნა, ხოლო ჰასან-გამბარ-ოღლის—ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლითა და ნახევრით გაგზავნა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

7 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე მემკვიდრე 6 ნოემბერს საღამოს სკერნევიცს წავიდა.

— მუსიკის მოყვარულთა სამოცი კაცი დამკვრელნი ქალაქ ლვოვიდან, ლუდვიგ ჩელიანსკის მეთაურობით, პეტერბურგიდან გავიდნენ რუსეთის მრავალ ქალაქებში კონცერტების გასამართავად.

რიგა. ფისტონის და პატრონის ქარხანაში, რომელიც სელიესა და ბელოს ეკუთვნის, საშინელი აფეთქება მოხდა. ის შენობა, სადაც თოფის წამალს აშრობდნენ, ერთიანად დაინგრა. ერთი კაცი მოკლულია.

კონსტანტინეპოლი. რადგან პორტა რეფორმათა შემოღების შესახებ მოთხოვნილებაზე პასუხს აგვიანებს, ელჩები კიდევ ემზადებიან ახალ ნაბიჯისათვის.

მასკატი. ინგლისის სამხედრო გემ „არგონავტ“-ზე დიდი მეჯლისი გაიმართა. სულთანის სახელობით მეფის მოადგილეს მიესალმნენ და ერთგულება გამოუცხადეს. კერზონმა უპასუხა: სანამ ომანის მმართველნი თავიანთ მოქმედებას ხელ-შეკრულობათა მოთხოვნილებას შეუფარდებენ და თავიანთ სახელმწიფოს ისე მოუვლიან, როგორ ამას განათლება და სამართლიანობა მოითხოვს, მანამდე ბრიტანია მფარველობას არ მოაკლებს იმათ. მეფის მოადგილემ სულთანს ჩააბარა ინდოეთის ორდენის ნიშნები პირველის ხარისხისა.

ვარშავა. ხელმწიფე მემკვიდრემ სკერნევიცისაკენ გაიარა.

ვენა. საბერძნეთის მეფე რუსეთისა და გერმანიის ელჩებთან იყო სადარბაზოდ.

ოქსფორდი. უნივერსიტეტმა დაადგინა, იტალიის მეფეს სამოქალაქო უფლებათა დოქტორობის საპატიო დიპლომი მიართვას.

ვინძორი. უცხო საქმეთა მინისტრს ტიტონისა და ლანსდოუნს ბჭობა ჰქონდათ რამდენსამე საათს. საღამოს მეფე ედუარდმა მიიღო ტიტონი.

7 ნოემბერი *)

პეტერბურგი. ხელმწიფე-დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის ბიულეტენი: „მის უდიდებულესობას მარჯვენა ყურის ანთება ცოტ-ცოტაობით უძნელდება. ტემპერატურა გუშინ საღამოს 37,4, დღეს დილით—37,2. მაჯა 75“.

8 ნოემბერი

კონსტანტინეპოლი. სულთანის გარდაცვალებულ სიძის მაჰმუდის შვილი, ლუტფ-ულა მალულად მოვიდა სტამბოლს და დააპატიმრეს, რადგან ახალგაზდა ოსმალთა პროპაგანდაში მონაწილეობას იღებდა.

მინისტრთა ბჭობა მოხდა, რომელზედაც განიხილეს წარდგენილ რეფორმათა მოთხოვნები. ოსმალეთის მხრივ ირწმუნებიან, რომ სულთანი პასუხს აგვიანებს, რადგან ცოტათი უქეიფოდ არისო.

პარიზი. დელკასემ აცნობა ამერიკის ელჩს გადაწყვეტილება, რომ საფრანგეთი ახალ რესპუბლიკას—პანამას—დაარსებულად აღიარებს.

ბერლინი. როგორც ხმა არის, იმპერატორი ვილჰელმი შობის დღესასწაულების შემდეგ, სამხრეთ-ევროპაში გაემგზავრება, სადაც დიდ ხანს დაჰყოფს.

ბერლინი. დილის 5 საათიდან 431 დეპუტატის არჩევის შედეგი გამოირკვა. არჩეულია 146 კონსერვატორი, 54 თავისუფალ-კონსერვატიულ ფრაქციისა, 97 ცენტრისა, 79 ნაციონალ-ლიბერალი, 23 სახალხო პარტიის თავისუფალი მოაზრე, 8 თავისუფალ კავშირისა, 13 პოლონელი, 2 დანიელი, 2 რეფორმათა პარტიისა, 2 სასოფლო-სამეურნეო კავშირისა და არც ერთი პარტიის მომხრე.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,75
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛ მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	459½ გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	348 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	295 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	92⅜ „
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	234 „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

დაიბეჭდა და დარიგდა გასასყიდად

ნ. მ ა რ რ ი ს

რუსული თხზულებანი:

1. გრამატიკა ძველ სომხურ ენისა. ეთიმოლოგია, გვ. XXXVIII—300, ფ. 2 მან.
2. ტექსტები და გამოკვლევანი სომხურ-ქართულ ფილოლოგიისა. წიგნი მე-V. კრიტიკა და პატარ-პატარა წერილები. გვ. 73. ფ. 1 მან.

ამ წიგნების დაბარება შეიძლება: С.-Петербургъ, В. О. 4 л. д. 7. ალექსანდრე მარრი.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

სამკურნალო

ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების **ე. სობესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა.** მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭიროა წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ჩერეპანოვისა. (15—187—4)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კ ი ო ს კ შ ი,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

პარასკევს, 5 დეკემბერს, 1903 წ. „ტფ. კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება

საცეკვაო საღამო

საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებით; მონაწილეობას მიიღებენ არტისტები და მუსიკის მოყვარულები. შემოსავალი გადაიდება **ხელმწიფე იმპერატორის** მფარველობის ქვეშე მყოფის **ზემო-ავჭალის სამიწათ-მოქმედო და სახელოსნო კოლონიის** საშუალებათა გასაძლიერებლად.

დარბაზის **დეკორაციები**—ა. ო. ნოვაკისა. **კიოსკები**—ნ. ო. ნოვაკისა და კოლონიის მოწაფეთა. **გამოფენა** მოწაფეთა ნაწარმოებისა.

ანტრაქტებში დაუკრავს კოლონიის მოწაფეთა ორკესტრი. დაწვრილებით იხ. აფიშებში.

შესვლის ფასი (საქველმოქმ. გადასახადით) 2 მ. 10 კ.; პრემიებს მადლობით მიიღებენ. საკონცერტო განყოფილება დაიწყება 8½ ს., ცეკვა—10½ საათზე. სამხედრო მუსიკა. გულ-ამოჭრილი კაბა და ფრაკი სავალდებულო არ არის.

საღამოს დიასახლისი **უგ. კნ. თ. დ. გრუზინსკისა.** გამგე **ა. ს. ფრენკელი.**

ბილეთები იყიდება: კოლონიის საზოგადოების წევრებთან: ა. ს. ფრენკელთან (გრიბოედ. ქ. № 33), ა. პ. მირონოვიჩთან და მ. დ. მელიქოვთან (სასამართლო პალატა), მ. გ. მუატთან (საოლქო სასამართლო), მომრიგებელ მოსამართლეებთან და ნოტარიუსებთან, ლოტის საკონდიტეროში და ტფილისის კრუჟოკში“. (უ. 4—2)

ს ა ფ ა ბ რ ი კ ო ს ა წ ყ ო ბ ი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

ვ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (0—111)

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

ი ყ ო დ ა ა რ ი ს

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

---

*) დაგვიანებულია.

Дозв. ценз. Тифлисъ 8 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).